ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 16

ქ. თბილისი

23.09.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო" (MCA - Georgia) „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების" პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
მარინე უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თამარ მახარაშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების განვითარების სპეციალისტი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამის პროგრამების დანერგვის კოორდინატორი
ქეთევან ციხისელი - პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის უფროსი ოფიცერი;
ნინო ხითარიშვილი - დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის მენეჯერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა:
დარეჯან ბეგიაშვილი - დირექტორი;
ნინო ხვედელიძე - ხარისხის მენეჯერი;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):
ნოდარ ანგურიძე;

თამარ რემიშვილი.
სხვა დამსწრე პირები:

მაია ჩიხლაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი
რევაზ საყვარელიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის მენეჯერი
გიორგი ნანობაშვილი - გაროს განვითარების პროგრამის (UNDP) გუნდის უფროსი

სხდომა 14:30 საათზე დაიწყო. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - აგარის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წევრებს მიმართა ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკითხს საბჭო პირველად იხილავს. საკითხის თავისებურების გათვალისწინებით სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს სხდომაზე მოწვეულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი მაია ჩიხლაძე. ექსპერტების შერჩევისასაც ეს გარემოება გათვალისწინებული იქნა - ერთი პროფესიულიდანაა და მეორე -ზოგადიდან. ასევე, მან განმარტა, რომ კონტიგენტის განსაზღვრისას საბჭომ უნდა გაითვალისწინოს, რომ პროფესიულისთვის დადგენილი კონტიგენტი გამოაკლდება სკოლის საერთო კონტინგენტის რაოდენობას.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნოდარ ანგურიძემ და თამარ რემიშვილმა წარმოადგინეს:

ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლაში განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა 2 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის და დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროგრამები და მათი განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამები ძირითადად შეესაბამება სტანდარტებს. თუმცა იყო რამოდენიმე შენიშვნაც:

სასწავლო გეგმის მიხედვით ერთ-ერთი მოდული -0710211-ელექტროდანადგარებისა და ქსელების გეგმიური და არაგეგმიური რემონტი - იწყებოდა მე-40 კვირას, მაშინ, როცა მისი წინმსწრები მოდულები: ელექტრომანქანები და ელექტროდანადგარების დიაგნოსტიკა და ელექტროდანადგარებისა და ქსელების მონტაჟი ამავე სასწავლო გეგმით იწყება ასევე სწავლების მე-40-ე კვირაში. ექსპერტების მიერ გაკეთებული რეკომენდაციის შემდეგ სასწავლო გეგმაში ეს ხარვეზი გასწორდა და დაწესებულებამ წარმოადგინა გასწორებული სასწავლო გეგმა.

შემდეგი შენიშვნა ეხებოდა სტუდენტთა მობილობის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მემორანდუმი, რომლის საგანია მხარეთა მიერ დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მობილობისა და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში. მსგავსი მემორანდუმი ზეინკალ-სანტექნიკოსის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ვიზიტის დროს არ იქნა წარმოდგენილი. თუმცა, მოგვიანებით, დაწესებულებამ ანალოგიური მემორანდუმი გააფორმა პროფესიულ კოლეჯ ლაკადასთან და ეს ხარვეზიც გამოასწორა. დოკუმენტები წარმოდგენილია და ოქმს დაერთვება.

რაც შეეხება რესურსს, მოდულური პროგრამის განხორციელებისათვის გათვალისწინებულია სამი სახის გარემოს შექმნა. ექსპერტების შენიშვნები შეეხებოდა C გარემოს. სკოლას ეზოში მოწყობილიაქვს სახელოსნოები, თუმცა არასაკმარისი ხელსაწყოებითა და აღჭურვილობით. დაწესებულების წარმომადგენლებთან ზეპირი გასაუბრებით დადგინდა, რომ ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში გაეროს განვითარების პროგრამიდან ელოდებოდნენ საჭირო ხელსაწყო-იარაღების შეძენას. ვიზიტის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია UNDP დახმარებით აღნიშნული აღჭურვილობისა და ხელსაწყოების შეძენისა და მიწოდების შესახებ. ჯერ არ არის მიწოდებული ციკლური დაბალი ძაბვის გენერატორი.

რევაზ საყვარელიძემ განაცხადა, რომ - UNDP-ს მიერ მაქსიმალურად იქნა შეძენილი ყველაფერი, იმის გარდა, რაც ფიზიკურად არ მოიპოვება საქართველოში. ახლა, პანტიკო თორდიას დახმარებით აგარის სკოლის ტერიტორიაზე დამონტაჟდება უნიკალური სტენდი, რომელზეც დამონტაჟდება ყველა აპარატურა. ასევე უნდა აღინიშნოს ქარელის მუნიციპალიტეტისა და აგარის შაქრის კომპანიის მხარდაჭერა პროფესიული პროგრამის განხორციელებაში.

ირინა აბულაძემ იკითხა როდის აპირებდა დაწესებულება პროგრამაზე გამოცხადებას

ლევან მადათოვმა განაცხადა რომ პროფესიულის ეროვნული გამოცდებისა და მისაღები პროცედურების გავლის შემდეგ, ნოემბერში იწყებოდა ხოლმე სწავლა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შემდეგი შენიშვნა ეხებოდა ვებგვერდს, რომელიც უნდა ასრულებდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო როლს. ყველაფერი იყო, მაგრამ არ იყო მითითებული საკონტაქტო ინფორმაცია და დამატებითი ინფორმაცია პროფესიულ პროგრამაზე. ეს ხარვეზიც გასწორდა. ამ ეტაპზე ისე ჩანს, რომ თითქოს ორი ვებგვერდია - სკოლისთვის და პროფესიულისთვის, თუმცა ერთი მისამართი აქვთ. დამუშავების პროცესშია და უახლოეს მომავალში დასრულდება. ვებგვერდის შექმნაში სკოლას ეხმარება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და როგორც გვაცნობეს, მალე დაასრულებენ. საქმე იმაშია, რომ რადგან ანალოგი აქამდე არ ყოფილა, ვებგვერდის ცალკე შექმნის საკითხი არ იყო გათვალისწინებული.

შემდეგი შენიშვნა შეეხებოდა ადამიანურ რესურსს. ადმინისტრაციის 4 თანამშრომლიდან ორის კვალიფიკაცია - შესყიდვების და ფინანსური მენეჯერების კვალიფიკაცია ვერ დასტურდებოდა, თუმცა მოგვიანებით წარმოადგინეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რაც შეეხება მასწავლებლებს, 10 მასწავლებლიდან ორი იქნება მოდულების მასწავლებლები, (მათი რეგულირების საკითხის შესახებ ეცნობა მასწავლებლის სახლს და სამინისტროს), ხოლო 8 ზოგადი მოდულების მასწავლებელი ამავე სკოლის მასწავლებელია.

რევაზ საყვარელიძემ აღნიშნა, რომ ზრუნავდნენ არა მხოლოდ რესურსებით უზრუნველყოფაზე, არამედ ასევე აწვდიდნენ მასწავლებლის სახელმძღვანელოებს. ახლა იქმნება სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებას სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტებით. პროფესიული კოლეჯების

10

მასწავლებლებმა გაიარეს 15-20 დღიანი გადამზადება თითოეული გზამკვლევის მიხედვით. ეს პროცესი ისევ გრძელდება და აგარის სკოლაც გაივლის. ჩვენ ასევე განვავითარეთ პროფესიული მომზადების კურსები თითოეული მოდულის მიხედვით, რომელიც გახორციელდება აგარის სკოლაში. მასწავლებლების არსებული პოტენციალი და შესაძლებლობები სრულად იქნება გამოყენებული და განვითარებული

ირინა აბულაძემ აღნიშნა, რომ კარგი იყო პროფესიული პროგრამების განხორციელება, და UNDP-მხარდაჭერაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო მაგრამ ეს დახმარება არ შეიძლება სამარადისოდ გაგრძელებულიყო. არსებული რესურსით, პარალელურად ზოგადი და პროფესიული პროგრამების განხორციელება რამდენად იყო შესაძლებელი სკოლისათვის? მასწავლებელს საკონტაქტო საათების გარდა აქვს კიდევ მთელი რიგი ვალდებულებები - მასწავლებლებთან თანამშრომლობა, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. მასწავლებლებს ვალდებულება აქვთ აღებული სახელმწიფოს წინაშე ორივე ნაწილში და ისე უნდა განხორციელდეს ორივე პროგრამა, რომ არც ერთს ხელი არ შეეშალოს.

სკოლის წარმომსადგენელმა დარეჯან ბეგიაშვილმა აღნიშნამ, რომ აგარის სკოლაში სწავლობდა 700 მოსწავლე. A გარემო მოწყობილი იყო სკოლის შენობაში. გამგეობამ მოუწყო სახელოსნოები. სკოლის მასწავლებლები ჩართულნი არიან სქემაში. სწავლება პროფესიული პროგრამაში განხორციელდება მეორე ცვლაში და არ შეეშლება ხელი სკოლის საქმიანობას. მასწავლებლები ძალიან გამოცდილები არიან და ისინი შეძლებენ ორივე პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებას. მათ აქვთ ორი ხელშეკრულება და ორივეს ფარგლებში შეძლებენ სწავლებას. ყველა მასწავლებელი არ არის სრულ განაკვეთზე სკოლაში. მათი შერჩევა მოხდა კონკურსის საფუძველზე.

რევაზ საყვარელიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული მასწავლებლები ასწავლიან მხოლოდ ზოგად მოდულებს. 1-2 კრედიტზე იყო საუბარი, ეს იმდენად მცირე იყო, რომ საერთოდ არ დაეტყობოდა სკოლას. ამავე დროს, არ იცოდნენ როგორი იქნებოდა კონტიგენტი. თუ იქნებოდა 4-5 მოსწავლე, შემუშავებული იყო დამატებითი სასწავლო გეგმა, რომელიც სპეციალურადაა შექმნილი.

ირინა აბულაძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლების, მუნიციპალიტეტისა და კომპანიების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და უნდა შემუშავებულიყო დამატებითი სასწავლო გეგმა. ასევე, მასწავლებლების მართვის ნაწილშიც - ხელშეკრულებებში მკაფიოდ უნდა ყოფილიყო გაწერილი, როგორ ასრულებენ მასწავლებლები ორივე პროგრამაში ფუნქციებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 240890755) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 42-ით, მათ შორის ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 22, ხოლო დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე 20 -ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დასრულდა 15:40 საათზე.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე